

# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26  
2018 წლის 23 თებერვალი

ქ. ამბროლაური

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა“ დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილება. ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 30/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.172.016060).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ვაჩაძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას საკუთრების  
დამადასტურებელი მოწმობის ფორმა  
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

N

ეძლევა \_\_\_\_\_

(მესაკუთრე)



მასზე, რომ მას საკუთრებაში გადაეცა \_\_\_\_\_

(ქონების დასახელება და მისამართი)

\_\_\_\_\_ კვ.მ

(უძრავი ქონების ფართობი; შენობის/შენობების ოდენობა და ფართობი)

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი: \_\_\_\_\_

(ოქმის ნომერი)

ოქმის შედგენის თარიღი \_\_\_\_\_

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, მესამე ინახება მოწმობის გამცემ ორგანოში.

გაცემულია 20 \_\_\_\_ წლის „\_\_\_\_“ \_\_\_\_\_

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის

მერი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი)

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა) ბ.ა.

